წერილის ნომერი:**31-31263083**
თარიღი: **04/11/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ია მოქიას მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ანგარიში

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 29. 10. 2026 წელი 15:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა და სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობა.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, გამოჩენილი ყურადღებისა და მის მიმართ გამოცხადებული ნდობისთვის. მან აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანს წარმოადგენს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან საქმიანობის შეჯამება, განხორციელებული პროექტებისა და მიღწეული შედეგების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, აგრეთვე არსებული პრობლემებისა და სამომავლო გამოწვევების განხილვა. მისი განმარტებით, თვითმმართველობის გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე მოსახლეობა უნდა იყოს ინფორმირებული ჩატარებულ თუ ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დეპუტატმა, ია მოქიამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მოქალაქეთა მოსაზრებების მოსმენა, მათი საჭიროებების გათვალისწინება და პრობლემების ერთობლივი განხილვა გამჭვირვალობისპრინციპის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

საკრებულოს წევრმა, ია მოქიამ ასევე ისაუბრა საკუთარ საქმიანობასა და საკრებულოში დაკისრებულ უფლებამოსილებებზე. მისი განმარტებით, იგი წარმოადგენს სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატს, ამავდროულად არის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი.

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმოხილვისას მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ თავდაპირველად სოფელ ახალსოფელში შესრულებულ სამუშაოებზე ისაუბრა. მისი განმარტებით, აღნიშნულ სოფელში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, თუმცა კვლავ რჩება პრობლემური მონაკვეთები, რომელთა მოწესრიგებაც ეტაპობრივად, პრიორიტეტების მიხედვით უნდა განხორციელდეს.

კერძოდ, ახალსოფლის სასაფლაოსთან მოეწყო გაბიონი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორივე სასაფლაოსთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. ნუნუ მახარაძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ გზაზე მოეწყო ორი მილხიდი, რისთვისაც 10 587 ლარი დაიხარჯა. ასევე, ბადრი კუპატაძის სახლამდე მისასვლელ გზაზე მოეწყო სანიაღვრე არხი, რითაც აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული პრობლემა ნაწილობრივ მოწესრიგდა. თამაზ კვაჭაძის ეზოსთან გზაზე ხიდის მოწყობის სამუშაოების ღირებულებამ 25 052 ლარი შეადგინა, ხოლო ნათია მასხულიას სახლთან მისასვლელ გზაზე ხიდის მოწყობისთვის 9 161 ლარი დაიხარჯა. ივანე გურგენაძის საცხოვრებელ სახლთან გზის გასწვრივ გაბიონის მოწყობის სამუშაოების ღირებულებამ კი 4 187 ლარი შეადგინა.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოფლის შიდა გზების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ სამუშაოებზე. მისი განმარტებით, არააასფალტირებულ ქუჩებზე ასფალტბეტონის ფრეზირებული მასალის ე.წ. მეორადი ასფალტით გზების მოსწორება მოხდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში არსებულ გზებზე დაზიანებული ნაწილების გასწორებისთვის, რამაც მოსახლეობისთვის გადაადგილების პირობების გაუმჯობესება გამოიწვია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული ღონისძიებები მხოლოდ ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების აღდგენას ე.წ ორმულ შეკეთებას ისახავდა მიზნად, თუმცა შეძლებისდაგვარად გზების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.

მაჟორიტარი დეპუტატის, ია მოქიას განცხადებით ლევან შაინიძის ჩიხში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გარე განათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. მან ასევე, ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ ჩიხში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემაზეც. მისი განმარტებით, არსებული გზის მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ ბენეფიციარი ფრეზირებული მასალით მოწყობილ საფარზეც კი ვერ ახერხებს ეტლით გადაადგილებას. შესაბამისად, პრობლემის სრულყოფილად მოსაგვარებლად აუცილებელია ზრუნვა.

დეპუტატმა, ია მოქიამ აღნიშნა, რომ ახალსოფლის სკოლის ქუჩაზე, რომლის სიგრძეც დაახლოებით 800 მეტრს შეადგენს, ორივე მხარეს მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები. აღნიშნულ ქუჩაზე, შესაძლებლობის ფარგლებში, ფრეზირებული მასალაც დაიყარა.

საკრებულოს წევრის განცხადებით, რამაზ გორგაძის საცხოვრებელ სახლთან ხიდის მოწყობის სამუშაოების ღირებულებამ 25 294 ლარი შეადგინა. ბელა მჟავანაძის ქუჩაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობისთვის 205 635 ლარი დაიხარჯა. ასევე განხორციელდა ძმები ართილაყვების ქუჩაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ტაბანათზე, ე.წ. რკინიგზის გადასასვლელის მოპირდაპირე მხარეს, მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები და ასფალტის საფარი. აღნიშნული პროექტის ღირებულებამ 474 892 ლარი შეადგინა.

ია მოქიამ ასევე ისაუბრა ახალი, ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის შესახებ. პროექტის განსახორციელებლად შეირჩა ყოფილი საბავშვო ბაღის ტერიტორია, სადაც სტადიონის მოწყობასთან ერთად, გზის მოსაწესრიგებლად ფრეზირებული მასალაც დაიყარა.

ხიდმაღალაზე განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით **სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ** აღნიშნა, რომ შიდა გზაზე მოეწყო ასფალტბეტონის საფარი, რომელიც ანწლიანის ქუჩას დაუკავშირდა.

ხიდმაღალაზე, სასაფლაოს მიმდებარედ, განხორციელდა წყლის არიდების ღონისძიებები, რომელთა ღირებულებამ 10 035 ლარი შეადგინა. გურამ ბლაგიძის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობისთვის კი 18 875 ლარი დაიხარჯა. ასევე, მოეწყო სკოლასთან მისასვლელი საცალფეხო ხიდი, რომლის ღირებულებამ 8 264 ლარი შეადგინა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ხიდმაღალის სკოლასთან რკინა-ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოებიც განხორციელდა.

სუფსის ცენტრში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცენტრალურ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ ჩიხს. ამასთან, დაგეგმილია რკინიგზის სადგურთან, ბინებთან ქუჩის მოწესრიგებაც, რომლის რეაბილიტაციაც ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება.

გრიგოლეთისა და მალთაყვის განვითარების საკითხებზე საუბრისას სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ ყურადღება გაამახვილა საკურორტო ზონის პოტენციალსა და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე. მისი განმარტებით, გრიგოლეთის სანაპირო ზოლის დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს საკურორტო გარემოს გაუმჯობესებასა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას. ამასთან, შესწავლილია გრიგოლეთის მაგნიტური ქვიშის თვისებები და შესაბამისი კვლევითი ინფორმაცია სხვადასხვა ტურისტულ კომპანიას გაეგზავნა, რათა გაიზარდოს კურორტის სარგებლობის მიმართ ცნობადობა.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა გრიგოლეთის ქუჩების დამისამართების საკითხზეც. მისი განმარტებით, წმინდა გიორგის ქუჩაზე და ნოდარ დუმბაძის ქუჩაზე განთავსდა შესაბამისი მიმანიშნებელი აბრები. რაც შეეხება სხვა ქუჩებისთვის სახელების მინიჭებას, მისი თქმით, აღნიშნული პროცესი, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ინიციატივასა და სურვილს უნდა ეფუძნებოდეს. მოქალაქეთა მიერ სასურველი სახელწოდების შერჩევის შემდეგ, მაჟორიტარი დეპუტატი მზად არის, დაეხმაროს მათ საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში.

ასევე, ია მოქიამ აღნიშნა, რომ სუფსის მოსახლეობის ინიციატივით, განიხილება გრიგოლეთიდან ხაჯალიამდე გამავალი ცენტრალური ქუჩისთვის ილია მეორის სახელის მინიჭება. მომხსენებლის ინფორმაციით, ამჟამად შეგროვებულია ხელმოწერები, რის შემდეგაც საკითხი შესაბამისი პროცედურების გავლას დაექვემდებარება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2026 წლისთვის დაგეგმილ სამუშაოებზე საუბრისას დეპუტატმა, ია მოქიამ აღნიშნა, რომ ახალსოფელში გათვალისწინებულია ჭაბურღილის მოწყობა. აღნიშნული პროექტისთვის პროგრამის ფარგლებში 16 000 ლარია გამოყოფილი, თუმცა მის მოსაწყობად სრული ღირებულება მეტად ბევრია, რაც დამატებით მსჯელობის საგანია.

ტაბანათზე ერთ-ერთ ჩიხში დაგეგმილია რკინა-ბეტონის გზის საფარის მოწყობა, ხოლო ჩქუნში, სასაფლაოს მიმდებარედ, საყრდენი კედლის მშენებლობა. მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული სამუშაოების განხორციელება აუცილებელია, ვინაიდან მეწყრულმა პროცესებმა რამდენიმე საფლავის ჩამოშლის საფრთხე შექმნა. სუფსაში და ხიდმაღალაზე დაგეგმილია რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა. გრიგოლეთში გათვალისწინებულია სანიაღვრე არხის გაწმენდა, ხოლო მალთაყვაში – შიდა გზის რეაბილიტაცია.

მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის საკითხზე საუბრისას დეპუტატმა, ია მოქიამ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 24 სოციალური პროგრამა, რომლებიც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეთა და ოჯახთა დახმარებას ითვალისწინებს.

მან წარმოადგინა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების პროგრამებით ისარგებლეს:

- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით – 1 ოჯახმა, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით;
- მესამე და მომდევნო ახალშობილის დახმარების პროგრამით – 3 ოჯახმა, ჯამში 3 000

ლარის ოდენობით;

- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით – 4 ბენეფიციარმა, ჯამში 14 490 ლარის ოდენობით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამით – 5 ოჯახმა, ჯამში 3 936 ლარის ოდენობით;
- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების პროგრამით – 67 ბენეფიციარმა, ჯამში 19 487 ლარის ოდენობით;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით – 2 ოჯახმა, ჯამში 2 800 ლარის ოდენობით;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამით – 1 ბენეფიციარმა, ჯამში 14 040 ლარის ოდენობით;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით – 2 ოჯახმა, ჯამში 1 600 ლარის ოდენობით;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამით – 1 ბენეფიციარმა, 1 000 ლარის ოდენობით;
- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამით – 11 ბენეფიციარმა, ჯამში 2 750 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარება გაეწია 24 ოჯახს, ჯამში 5 550 ლარის ოდენობით.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ ასევე ისაუბრა დიდთოვლობით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე. მისი ინფორმაციით, განხორციელდა გადახურვის ღონისძიებები 25 საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით. ასევე, კომპენსაცია გაიცა 44 ოჯახზე, ჯამში 187 513 ლარის ოდენობით. ხოლო, 9 ოჯახი, რომლის სახლის აღდგენა ვერ განხორციელდებოდა, განსახლებისთვის გამოეყოთ 50 000 ლარი.

დეპუტატმა, ია მოქიამ ყურადღება გაამახვილა სუფსაში თევზის ფესტივალის მნიშვნელობაზე, რომელიც 4 წელია იმართება. მისი განმარტებით, აღნიშნული ღონისძიება ადგილობრივი მოსახლეობისთვის კულტურული და გასართობი გარემოს შექმნას, სოფლის პოპულარიზაციასა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდას ემსახურება. ფესტივალი უკვე ოთხი წელია იმართება და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ხასიათდება. მან ასევე აღნიშნა, რომ სუფსის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთობის ღონისძიებაში, სადაც მიმდინარე წელს გურიელების თემატიკა გააცოცხლეს. მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა სკოლის წარმომადგენლებს აღნიშნულ ღონისძიებაში შეტანილი წვლილისა და აქტიური მონაწილეობისთვის. ამასთან, აღნიშნა, რომ ახალმოწყობილ მინი სტადიონზე სპორტული ტურნირიც გაიმართა, რომელიც მიეძღვნა გია ბოჭორიშვილის ხსოვნას. საკრებულოს წევრმა, ია მოქიამ მზაობა გამოთქვა, რომ მსგავსი ტურნირების მიმართ ხელშეწყობა ყოველთვის იქნება.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ახალსოფლის საჯარო სკოლის მდგომარეობაზე. მისი განმარტებით, სკოლის შენობის ავარიულობის შესახებ შესაბამისი დასკვნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან იქნა მიღებული, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესი შეჩერდა. ამჟამად მოსწავლეები სწავლას ღრმაღელის საჯარო სკოლაში აგრძელებენ. ხოლო, სკოლის ძველ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლის მშენებლობა/რეაბილიტაცია იგეგმება.

შეხვედრის მიმდინარეობისას ადგილობრივმა მოსახლემ, მამუკა ტიკარაძემ ყურადღება გაამახვილა სუფსაში მდებარე მინი სტადიონის ღობის ამაღლების საკითხზე. მისი განმარტებით, სპორტული თამაშების დროს ბურთი ხშირად სტადიონის ფარგლებს გარეთ, საავტომობილო გზაზე ვარდება, რაც ქმნის საფრთხეს როგორც მოთამაშეებისთვის, ისე გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებისა და

ქვეითებისთვის. მან საჭიროდ მიიჩნია სტადიონის ღობის სიმაღლის გაზრდა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო საფრთხეები. ია მოქიამ, საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოხდა სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერის დაყენება ბავშვების უსაფრთხოებისთვის, რაც შეეხება, გამოთქმულ მოსაზრებას მაჟორიტარმა დაპირდა, რომ შესაბამის უწყებებთან აღნიშნულ საკითხს შესწავლის მიზნით წარადგენს.

შეხვედრის დასასრულს სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ მოსახლეობას კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მხარდაჭერისთვის, თანამშრომლობისა და გამოთქმული მოსაზრებებისთვის. მან აღნიშნა, რომ არსებული პრობლემების სრულად და ერთდროულად მოგვარება შეუძლებელია, თუმცა თითოეული საკითხისადმი პასუხისმგებლიანი, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა აუცილებელია. მისი განმარტებით, გაწეული საქმიანობის მთავარი შეფასების კრიტერიუმი არა მხოლოდ დაგეგმილი პროექტები და გაჟღერებული ინიციატივები, არამედ ის რეალური ცვლილებებია, რომლებიც მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ გამოთქვა მზადყოფნა, მომავალშიც აქტიურად გააგრძელოს მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მოისმინოს მათი მოსაზრებები, შეკითხვები და წინადადებები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა და ადგილობრივი საჭიროებების სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისა და სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის შემდგომი განვითარებისთვის.

ია მოქია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი